ტფილისი
ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 185
1877

ივერია

№ 185
1903

აგვისტოს 29, პარასკევი 1903 წ.

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

აგვისტოს 29, პარასკევი 1903 წ.

დღესასწაულებისა გამო, შემდეგი ნომერი „ივერიისა“ გამოვა სამშაბათს, 2 სექდემბერს.

ვისაც ხვედრი ფული არ შემოუტანია, პირველ აგვისტოდგას „ივერია“ აღარ ეგზავნება.

პირველ სექდემბრიდგან წლის დამლევამდე

გაზ. „ივერია“

ჰღირს 4 მან. 75 კაპ.

გაზეთის „ივერიის“ ფასი თვეობით 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ. 25 კ., 7 თვით—6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კაპ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

სამშაბათს, 2 სექდემბერს, დილის თერთმეტ საათზე გარდაცვალების ორმოცი დღის თავზედ

ნატალია ალექსანდრეს ასულის ხოფერიას.

სულის როსახსენებლად სოფელს შხეფს, მთავარ ანგელოზის ეკლესიაში იქნება წირვა და პანაშვიდი, რასაც მისი მამა ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ხოფერია აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთა. (2—194—1)

შუა ბაზარში ალ. სარაჯიშვილის ქარვასლაში

იყიდება ნარდად სხვა და სხვა ჯიშის

—ვაშლი და მსხალი—

გაუსმანის ბაღიდგან გორში

რომელიც დაჯილდოვებულია ოქროსი და ვერცხლის მედლებით სხვა-და-სხვა გამოფენაზედ.

(3—6.—2)

სპილენძის მადანი

სურს იყიდოს საფრანგეთის კომპანიამ. ვისაც გასაყიდი აქვს, მიჰმართოს ამ ადრესით: Paris, rue Meslay 41, M. J. Champol. (5—6—1)

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა აცხადებს, რომ მის აგენტს სოსიკო მერკვილაძეს ქ. ქუთაისში შაბათს, 23 აგვისტოს

დაეკარგა

ქართ. დრ. საზოგადოების საწევრო საკვიტანციო წიგნაკი № 6, რომელშიაც 24 ბარათია, მხოლოდ პირველი-კი ამოჭრილია და კუპონზედ აწერია—მიტროფანე ლაღიძე.

გამგეობა უმორჩილესად სთხოვს, ვინც იპოვნოს, გადასცეს მიტროფანე ლაღიძეს, ან გამოგზავნოს ტფილისში ქ. დრ. საზოგადოების სახელზედ. (3—უ—2)

გამოვიდა და ისყიდება

კბილები

და მათი მოვლა-შენახვა

სამხედრო-სამკურნალო აკადემიის პრივატ-დოცენტის პ. თ. ფედოროვისა, თარგმანი კბილის ექიმის ი. პ. ახალშენიშვილისა. ტექსტს დართული აქვს 7 ნახატი, შეიცავს 124 გვერდს და ღირს 40 კაპ.

ისყიდება: ქართველთა წიგნების გამომც. ამხანაგობის კიოსკში, მთარგმნელთან (ელისაბედის ქ. № 38) და ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. (15—4)

გამოცდილი ქართველი მასწავლებელი ქალი, რომელმაც კარგად იცის რუსულ-ფრანგული ენა, ამზადებს ორთავე სქესის ბავშვებს ყველა სასწავლებლისათვის, ორ კლასამდე, ხელ მისაწვდომ ფასად. იყვანს აგრეთვე შესანახადაც.

ადრესი: რეუტოვის ქუჩა, სახლი არღუთინსკისა № 6 იკითხეთ ეზოში მასწავლებელი ქალი. (10 ნ—7)

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „წერა-კ. გამავრცელებელ საზოგადოების“ მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

1.

წიგნის ისტორია

შედგენილი დ. კარიჭაშვილის მიერ 14 სურათით. 64 გვ. ფასი 20 კაპ.

2,

დანიელ დეფოს

რობინზონ კრუზე

მეორე გამოცემა მრავალის სურათით. 162 გვ. ფასი 30 კ.

წიგნების დაბარება შეიძლება ფას-დადებითაც: Тифлисъ, Общество грамотности.

ახალშენიშვილი

ელისაბედის ქუჩა, 38.

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათამდის და 11—2-დის, ხოლო საღამ. 5—7-დის კვირა-უქმე დღეებში 9—2-დის და საღამ. 5—7-მდის. (წლ.)

კერძო სამკურნალო

ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე. კბილის სნეულებანი 8 საათიდგან 10 საათამდე.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

ა. გ. მაღალაშვილი. შაკ. და შინაგ. 10—11 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 11—1 ს.

გრ. ვ. სოგოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

საღამოთი:

ა. გ. მაღალაშვილი. შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთანდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით. (წ.)

46—8 ტელეფონი № 274

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირადღეებს გარდა.

დილაობით:

ზ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდე ავადმყოფობანი.

უ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა. შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

კ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

ზ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია).

ლ. ვ. ბარტოლდი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

მ. ს. ლევი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

მ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ზ. ა. ნავასარდიანი. 8½—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

(წლ.)

მალოროსთა მწერალი ივანე კოტლიარევსკი.

(1769—1838 წ.)

ამ თვის 30 და 31-ს დიდის ამბით და ზეიმით იდღესასწაულებენ მალოროსები ქ. პოლტავაში ძეგლის კურთხევას თავიანთ სახელოვანის პოეტის ივანე პეტრეს ძის კოტლიარევსკისას. მალოროსებს სურთ ეს დღესასწაული, რაც შეიძლება, ბრწყინვალეთ მოაწყონ, შორეულ კუთხესაცკი შეატყობინონ თავიანთ სასიქადულო საქმე და სთხოვენ, დაესწრენ მათს ეროვნულს ლიტანიას. *)

სასიამოვნოა, როდესაც გესმის, რომ ერი აფასებს, ღირსეულს სამაგიეროს უხდის თვის მოღვაწეს, თავის დამამშვენებელს ადამიანს; არ ივიწყებს მის ღვაწლსა და შრომას. თავის მოღვაწეთა და მწერალთა დამფასებელი ერიც საყვარელი და სასიამოვნო ხდება ყოველ შეგნებულ ადამიანის თვალში; ის ხალხი ამტკიცებს თავის უეჭველ მომწიფებას, დავაჟკაცებას და მაშასადამე არც შიში აქვთ მოსპობისა, გადაგვარებისა. ასეთ ხალხს ეკუთვნის დღეს მოლოროსიაც. მას უკვე გავლილი აქვს მძიმე საფეხური ცხოვრებისა, საფეხური გამოურკვეველის მდგომარეობისა, ბურუსში ყოფნისა და რყევისა. ეხლა მალორესებს ნათლად აქვთ გარკვეული ცხოვრების საგანი, თავიანთ სურვილები; იცნობენ თავის ძალღონეს და შესაფერადაც იღვწიან. სამშობლოს სასარგებლოთ და თავიანთ სასახელოთ.

კოტლიარევსკი იყო ერთი იმ მოწინავე კაცთაგანი, რომელმაც პირველად დათესა მადლიანის ხელით კეთილი თესლი ეროვნულის თვით-შემეცნებისა; რომელმაც პირველათ გააგონა თავის შეკოჭილ თანამემამულეთ სამშობლო ენის სასიამოვნო ბგერა პოეზიაში; გაუღვიძა ძლიერი სურვილი ენის გაფაქიზებისა, გაძლიერებისა და სხვა ენებთან გათანასწორებისა; ვინაიდან იმ დრომდის მალოროსთა ენა დავიწყებული იყო, არამც თუ რუსულ მწერლობაში, არამედ თვით ზოგიერთ მოწინავე მალოროსთაგანაც. მარტოოდენ ხალხი-ღა ხმარობდა მაგ ენას. ხალხმა შეინახა იგი, და ხალხისავე შვილმა გამოიყვანა დავიწყების უკუნეთიდან. კოტლარევსკიმ პირველმა ააჟღერა ჩანგი მალოროსიულად, მან დაუდო სათავე მალოროსთა პოეზიას და მწერლობას.

მართლაც, ბედშავს და ათასნაირად გაწეწილ-გამოწეწილს მალოროსიას კოტლიარევსკის დრომდე არა ჰქონია სიტყვაკაზმული მწერლობა. გადაავლეთ თვალი მის ისტორიას და დარწმუნდებით, რომ მალოროსებს თითქმის არ ცალათ მწერლობისათვის. ბოგდან ხმელნიცკიმდის „კაზაკებს“ ერთად ერთი საზრუნავი ჰქონდათ, დაეცვათ თავიანთი და მოძმეთა ავლადიდება ყაჩაღ პოლონელ პანებისა და ქურდ-ბაცაცა ოსალეთის ფაშებისაგან. ხმელნიცკიმ რომ ნახა, მუდმივ ბრძოლისაგან დაუძლურებული მალოროსია საკუთარს ცალკე ცხოვრებას ვეღარ შეიძლებდა ისე, რომ არავის ლუკმა არ გამხდარიყო, ხალხის ნებართვით უკრაინა შეუერთა განსაზღვრულის პირობით დიდი რუსეთის სამეფოს 1654 წელს.

ამ შეერთების შემდეგაც ვერ მოისვენა მალოროსიამ; მისი „ზაპოროჟიე“ და მდიდარი ნოყიერი იალაღები ძლიერ იზიდავდნენ სხვა-და-სხვა მოუსვენარ ელემენტებს, რისგანაც ხალხი მუდმივ ღელვაში იყო, გონებრივის შრომისათვის არ ეცალა. მალოროსთა თავად-აზნაურობამ და მოწინავე კაცებმა კი შეაფარეს თავი რუსეთის სამსახურს, მის ცხოვრებას და ნაწილი კიდეც შეუერთდა. რუსეთმა ისეთი ნიჭიერი მწერალიც კი წაართვა მალოროსიას, როგორიც იყო გოგოლი.

მაგრამ, რაც უნდა დუხჭირი და რბევა გამოიაროს ხალხმა, თუ ეროვნული ზნეობრივი თვისებანი უცვლელად შეინახა, მაინც არ გადაგვარდება, არ მოკვდება. სწორეთ ეს; იყო მალოროსთა ცხოვრებაშიც. დიდის ხნის ტანჯვა-წვალებამ, დაუდგრომელმა ცხოვრებამ, ათასნაირმა შევიწროებამ ვერ შეუცვალა გული და სული; ვერ ჩააქრო ღვველფში შენახული ნაპერწკალი, რომელიც ბოლოს გაღვივდა და ნაკვერჩხლათ გადაიქცა. ამის უტყუარი საბუთია ივ. კოტლიარევსკის ეროვნული კილო, ხალხური ენა და სამშობლოს სიყვარული.

ივ. პეტრეს ძე კოტლიარევსკი იყო შვილის შვილი უბრალო დიაკვნისა პოლტავის საკრებულო ტაძრისა. განათლება მიიღო პოლტავის სემინარიაში დ იქვე სწერდა ლექსებს. სწავლის დამთავრების შემდეგ ჯერ მასწავლებლად იყო მემამულეთა ოჯახებში. მერე ვხედავთ ხან კანცელარიაში, ხან სამხედრო სამსახურში და ბოლოს აღმზრდელათ სასწავლებელში. ასეთი სადა, უმნიშვნელო სიცოცხლის პატრონი კოტლიარევსკი სხვაფრივ შესანიშნავი კაცი იყო. მან პირველმა გაბედა ხუმრობათ, სასაცილო კილოთი მალოროსიულ ენის გაცოცხლება. ამ კილოს ალბათ იმიტომ მიჰმართა, რომ უფრო სასიამოვნო ყოფილიყო წამკითხველთათვის და მეტი ყურადღებაც დაემსახურებინა. სხვებსავით მეტის-მეტი განდიდების სურვილი არ ახრჩობდა; კმაყოფილი იყო, ფრთა-გაშლილ ქება-შესხმის მაგიერ, რომელსაც ზოგიერთი მისი თანამემამულენი ეღირსნენ რუსეთში, გულ-წრფელად, შეუმჩნევლად ემუშავნა სამშობლო ენისა და მხარის საკეთილ-დღეოდ. დაიწყო და კიდეც მიაღწია სურვილს. ჯერ დაბადა და მერე ფეხიც აადგმევინა ნორჩს მალოროსიულ მწერლობას. ამ მხრივ კოტლიარევსკის ღვაწლი დაუფასებელია.

როგორც პირველი მწერალი, კოტლიარევსკი ვერ იყო ნაყოფიერი რაოდენობის მხრივ. მან დასწერა სულ სამი თხზულება: „ენეიდა“, ვირგილიუსისა—სხვების მიბაძვით გადმოთარგმნა-გადმოაკეთა (1798 წ.); ოპერეტები: „ნატალკა-პოლტავკა“ და „მოსკალ ჩარივნიკ“ (1819 წ.) და მცირეოდენიც ლექსები. აი მთელი ნაწარმოები კოტლიარევსკისა. მაგრამ მთლად „ენეიდა“ ისეთის ენით არის გადმოღებული, რომ მის წამკითხველს არ შეუძლიან სიცილი შეიკავოს; მჩქეფარე იუმორი, ბასრი ენა, სასაცილო მდგომარეობანი ისე აქვს შეხამებული, რომ მკითხველს ჰგონია, ეს ნაწარმოები ორიგინალურიაო. ამ აზრს უფრო აორკეცებს ის გარემოებაც, რომ „ენეიდაში“ კოტლიარევსკის ჩართული აქვს უკრაინელთა ცხოვრების სურათები. ამიტომაც უყვართ მალოროსებს ამ წიგნის კითხვა, სასიამოვნოც არის და გულსაცა ჰფხანთ. იმის ორი ოპერეტა—„ნატალკა-პოლტავკა“ და „მოსკალ ჩარივნიკ“ ხომ ისეთი საყვარელი ნაწარმოებია მალოროსთათვის, რომ დღევანდლამდისაც-კი რეპერტუარში შეაქვს ყოველ მალოროსიულს დასს.

როგორც ლირიკოსი კოტლიარევსკი სუსტი პოეტია.

სამაგიეროდ მისმა დაწყებულმა საქმემ მშვენიერი ნაყოფი გამოიღო, გაიწია, გაფართოვდა. ხალხს მალოროსიული წიგნი შეაყვარა, მწერლებიც გაჩნდნენ. დრამატიული მწერლობა და ხელოვნებაც გაჩაღდა. უკრაინის მწერლობას დღეს ისტორია აქვს, ჰყავს შესანიშნავნი და ნიჭიერნი წარმომადგენელნი. მათ შორის უფრო მძლავრი, უფრო გავლენიანი და ნიჭიერი იყო ტარას შევჩენკო, ნამდვილი ლირიკოსი, მალოროსთა ტკივილების გამომთქმელი, მხურვალე მამულიშვილი და მათი მწერლობის ბურჯი.

ამ ხანად თუმცა მალოროსთა მწერლობა სუსტობს უკრაინაში, სამაგიეროდ მძლავრათ სჩქეფს და მიმდინარეობს სხვაგან; გაცხოველებულია მეზობლათ-გალიციაში, სადაც საკუთარი უნივერსიტეტიც აქვთ.

ლამაზი და კოპწია ქალაქი პოლტავა, სამშობლო კოტლიარევსკისა, ღირსეულად უხდის მადლობას ღირსეულს შვილს; მის ხსოვნას ჩამომავლობისთვის უკვდავ ჰყოფს, თვალ-ხმიერად მოაგონებს მის სამშობლო მხარისთვის გაწეულს ამაგს. ხარჯს არ ერიდება ქ. პოლტავა ამ საქმისთვის და ჯეროვნად აგვირგვინებს დაწყებულს საქმეს.

სწორედ რომ მისაბაძი მაგალითია ჩვენთვის, ქართველთათვის.

დ. ნახ—შვილი.

---

*) გაზ. „ივერიასაც“ მოუვიდა ასეთი მიწვევის ბარათი, რომ მან გაგზავნოს ქ. პოლტავაში ამ დღისათვის თავის წარმომადგენელი.

ტფილისი

უმაღლესად დამტკიცებულია წესი სახალხო ლექციების კითხვისა შესახებ მეურნეობისა. ლექციების წაკითხვა შეიძლება იკისროს ყოველმა კაცმა, ვისაც-კი შესაბამი სწავლა მიუღია. ლექცია ხელთნაწერი ანუ დაბეჭდილი უნდა იყოს, ანუ წამკითხველმა წინადვე უნდა შეადგინოს კონსპექტი. ლექციის წაკითხვის ნებართვას აძლევენ ან სამინისტროს წარმომადგენელი ანუ სახელმწიფო ქონებათა

გამგენი ანუ სხვა მოხელენი, რომელთაც მინისტრის მიერ მინდობილი ექმნება. თვალყურის დევნა გუბერნატორის მოვალეობას შეადგენს. სამინისტრო გადასდებს თანხას ლექტორების დასაჯილდოვებლად.

უმაღლესის ბრძანებით ფინანსთა მინისტრად დანიშნულმა და სახელმწიფო ბანკის გამგედ ყოფილმა პლესკემ გამოთხოვების წერილი გამოუგზავნა ტფილისის სახელმწიფო ბანკის განყოფილების მოხელეებსა და მადლობა განუცხადა გულმოდგინე სამსახურისათვის მის გამგებლობის დროს.

ქალაქის გამგეობამ განკარგულება მოახდინა, რომ 7 სეკდემბერს ჩაიყაროს საძირკველი დავრდომილთა თავშესაფარისა, რომელიც ნ. ია. ზუბალაშვილის სახელზედ უნდა აშენდეს მის მემკვიდრეთაგან შეწირულის ფულით. ამ დღესასწაულზედ მიწვეულნი არიან საპატიო სტუმარნი და გარდაცვალებულის ნ. ზუბალაშვილის ქვრივსაც მოელიან.

ქალაქის სამმართველო კარგა ხანია სცდილობდა, რომ სახალხო წიგნთსაცავი, ხაზინის ხარჯით დაარსებული, ქალაქს გადაეცეს, რომელმაც ამისათვის საკუთარი სახლი უნდა აშენოს და თავის ხარჯით შეინახოს. საერო განათლების მინისტრს ქალაქის შუამდგომლობა შეუწყნარებია იმ პირობით-კი, რომ წიგნთსაცავის მეთვალყურე მინისტრისაგან ინიშნებოდეს. მინისტრის ბრძანება ტფილისის გუბერნატორმა აცნობა ქალაქის გამგეობას და შეუთვალა, ჩაიბარეთ წიგნთსაცავი, ხოლო წესდება შეადგინეთ და გამომიგზავნეთ, რომ მინისტრს წარვუდგინო დასამტკიცებლადაო.

სამეურნეო დეპარტამენტს განუზრახავს, სცადოს კავკასიაში, ყაზანლიყის ვარდისა და ამიერ-კავკასიაში ქინაქინის ხის გაშენება. ამ აზრით დეპარტამენტს თესლი უკვე გამოუწერია ცეილონიდგან.

გუშინ მრავალი მეჩექმე შეკრებილიყო მეცხრე პოლიციის სადგურთან და რაღაც ჩურჩული ჰქონდათ. საცოდავებს ჰგონებოდათ, რაღაც ბრალსა გვდებენო და თრთოდნენ ფერწასულნი. მაგრამ სულ სხვა რამე აღმოჩნდა. მეჩექმეთა უსტაბაში ძალას ატანდა, რომ რაღაც გარდასახადი ხელმეორედ შეეტანათ, თითო და ორ-ორი მანეთი. დაღონებული ხალხი გაიძახოდა ეგ გარდასახადი დიდი ხანია შევვატაინესო, მაგრამ არა ეშველათრა. 1896—1897 უსტაბაშათ ჰყოლიათ მარქარა წატუროვი. იმას ფული შეუკრებია და გაუფლანგავს. ეხლა კი ხელოსნებმა ხელახლა უნდა გადიხადონ. თუმცა ბევრს ბარათი ხელთა აქვს, რომ გარდასახადი შეუტანიათ, მაგრამ მაინც ძალას ატანდნენ და ვისაც ზედ ფული არა ჰქონდა, ქამარსა და საათს აცლიდნენ, მცირეოდენი მოცდაც აღარ შეიძლებაო.

ჩვენ მივიღეთ ახალი რუსული წიგნაკი, შედგენილი ი. პ. როსტომაშვილის მიერ: Новая народная школа и основы ея развитія и существованія. ფასი წიგნაკისა ორი შაური.

გუშინ შუადღისას, სახაზინო პალატასთან ეტლი № 146 დაეჯახა ერთ კაცს, რომელიც შესამჩნევად დასახიჩრდა. დაშავებული მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს, მეეტლე პასუხის გებაში მისცეს.

საზამბროელ მემამულეთა და გლეხთა შორის უთანხმოების ატეხისათვის, ამას წინად ოთხი გლეხი დააპატიმრეს და გააძევეს სოფლის საზოგადოებიდან. დუშეთის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი, როგორც „ცნ. ფ."-ი იუწყება შუამდგომლობის აღძვრას აპირობს, რომ ეს გლეხნი გაანთავისუფლონ, რადგან მემამულენი და გლეხები შეთანხმდნენ.

26 აგვისტოს მოხდა საჯარო ვაჭრობა ახალ ნაძალადევში ქალაქის მიწების იჯარით გასაცემად. გასაცემი იყო 42 ნაჭერი მიწა, რომელთაგან, ზოგი შეიცავს 80 და ზოგი 100 ოთხ კუთ. საჟენს. ვაჭრობა დაიწყო თითო საჟენზე 17 კაპ. და უდიდესი ფასი შეაძლიეს 50 კაპ. გაიცა მხოლოდ 25 ნაჭერი. დანარჩენ 17 ნაჭერის გასაცემად ახალი ვაჭრობა მოხდება.

ჩვენებური ამბები

ს. ჭალა. გურიის ყოველს სოფელს ეტყობა ამ ჩვენს დროში, ცოტად თუ ბევრად განახლება, წინმსვლელობა. ყოველი სოფელი სცდილობს, რამდენადაც შეძლება აქვს, სხვა სოფელს უკან არ ჩამორჩეს, მაგრამ ს. ჭალას-კი არა ეტყობა რა. ერთი უადრესი წარმატების ნიშანი ამ შემთხვევაში არის წიგნთსაცავ-სამკითხველოს და სკოლის დაარსება. ჩვენ არ შეგვიძლიან ვსთქვათ, ვითომ ჭალელები სრულიად მოკლებული იყვნენ ამ ორ საუკეთესო წინმსვლელობის ფაქტორს. ჭალელები მონაწილეობას იღებენ დვაბზუის ორ-კლასიან სამინისტრო სკოლისა და სამკითხველოს შენობაში, თუმცა სამკითხველო ამ ჟამად დაკეტილია. უნდა აღვნიშნოთ, ის გარემოება, რომ ზემოხსენებული სკოლაც მთელს საზოგადოების მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს. ამისი მიზეზი ორგვარია: ერთი ის, რომ ყოველ წელს შემსვლელ ბავშვთა რიცხვი ამ სკოლაში დიდად აღემატება ვაკანსიების რიცხვს, ხოლო მეორე მიზეზი ის არის, რომ ზოგიერთი სოფლელები, მათ შორის ჭალაც, ამ სკოლზე დაშორებულია, რის გამოც შვიდი-რვა წლის ბავშვის სიარული სკოლაში შეუძლებელი ხდება. ამაზე ზოგიერთმა სოფლებმა, მაგ. სს. დვაბზუმ და მელექედურმა დიდი ხანია მიაქცია ყურადღება და სამრევლო სკოლები დააარსა. მაგრამ ჭალელებს ამ ტიპის სკოლის შესახებ ჯერ კრინტიც არ დაუძრავთ. ამისი მიზეზი ის კი არ არის, ვითომ ჭალელები მეტად ღარიბნი იყვნენ ან სწავლის სურვილი არ ჰქონდეთ. არა, სრულებითაც არა. აქ საჭიროა ამ წმინდა საქმისთვის მოთავე. არავინ არის მოთავე, თორემ, დარწმუნებული ვარ, ჭალელები არავითარ ხარჯს არ დაზოგვენ ჭკუა-გონების განვითარებისათვის. ხშირად ხდება ხოლმე, რომ ჭალელები სხვა საზოგადოების სკოლაში აძლევენ თავის შვილებს, მაგ. შემოქმედს და სხვ., მაგრამ სწავლის ფასათ ოთხჯერ მეტს იხდიან, რაც უნდა გადაიხადონ თავის აგებულ სკოლაში!. ზოგიერთნი აძლევენ შვილებს დვაბზუის სკოლაშიაც, მაგრამ ბავშვები ხშირად სცდებიან გაკვეთილებს, სიშორის გამო და ეს, ცხადია, დიდად აბრკოლებს სწავლის საქმეს.

4 ივნისს, ერთს ჩემს მეზობლისას მომიხდა მისვლა; მასპინძლის პატარა ბავშვს დავეკითხე, სკოლაში რატომ არ წასულხარ დღესა მეთქი, ბავშვის დედამ მწრაფლ მომიგო: «ნენავ, რა ვქნა, რაფერ გამეშვა კლასში, ამ ხელა გზაზე, ამისთანა დუგუნაში, ქე მომიხალავს პიჭს; თუ მომიკტება, რადათ მინდა მაგის კლასი». იმ ღამეს დიდი წვიმა მოვიდა, ასე რომ მდინარეებმა ძლიერ მოიმატა. მეორე დილას იმავე მეზობლისას დავინახე, რომ იგივე ბავშვი, მამას ღობის გასწორებაზე ეხმარებოდა. მე დავუძახე: «გაცო არც დღეს გაუშვი ბავშვი კლასში?!

—რაფერ გამეშვა, დასახრჩობათ ხომ არ მინდა, თვარა კაი დაკემართოს სწავლა კაია.

—ამ პასუხმა მეტად უგემურად გამხადა. ბავშვი კლასში ვეღარ მიდის ვერც სიცხესა და ვერც წვიმაში. მაშ, საჭიროა ან ახლოს სკოლის დაარსება, ან ბუნების კანონების შეცვლა, რომ მუდამ ღრუბლიანი ამინდი ექმნეს, არც სიცხე და არც წვიმა. ზამთარი, რასაკვირველია, სრულებით უნდა გამოირიცხოს წლის ოთხის დროიდგან. ამ საქმისათვის სწორედ, რომ მოთავე კაცია საჭირო, უნდა განვიმეოროთ კვლავ.

ზნეობრივად მოვალეა აქაური მღვდელი მ. ა. საბაშვილი; მან უნდა იკისროს მზრუნველობა ამ წმინდა და ფრიად საჭირო საქმისა, ესე იგი სამრევლო სკოლის დაარსება.

ბლ. მღ. მ. ს. ანდღულაძის დახმარებით, რომელსაც ამისთანა საქმეში არა ერთხელ გამოუჩენია სიფხიზლე და ენერგია, ახლაც, იმედი გვაქვს არ დაიშურებს თავის შრომას ამ საქმეში ჭალელების საკეთილდღეოდ და სულით და გულით შეუდგება ამ წმინდა საქმის განხორციელებას. მით უფრო გვაქვს ეს იმედი, რომ ოთხი წელია, რაც იგი სამრევლო სკოლების მეთვალყურეა და, მაშასადამე, იცის კიდეც როგორ მოევლოს ამ საქმეს.

პარმენ საბაშვილი

ქ. ახალციხე. თავის დროს დიდებული საფარის მონასტერი, გარ-შემოზღუდული რამდენისამე ას წლოვანი ციხე-გალავნით — დღესაც არა ნაკლებ დიდებულად გადმოსცქერის დაბლა ხეობას თავისი ახლათ შეკეთებულ გარეგნობით. აქ რუსის ბერები არიან, რომელთაც უხვად მოსდიოდა შესაწირავი რუსეთიდან ახლა-კი, როგორც გავიგე, ნაკლებათ მოსდით და ამატომაც უკლია ბერების რიცხვსაც. 150 სულიდგან დღეს ორმოცდა ათამდე-დაა. სხვა შემოსავალი მონასტერს არა აქვს, გარდა მცირე ფერდობისა, სადაც მარტო ბოსტნეულობა მოჰყავთ თავიანთთვის. შენობანი ბლომად აუშენებიათ. დღესასწაულის დროს, როცა ხალხი ბლომად აწყდება მონასტერს, ნომრებს აქირავებენ, თითოს მანეთად, ექვს აბაზად და მეტათაც დღე-ღამეში, ამ ამბავმა ცოტა არ იყოს გაგვაკვირვა, რადგან სხვაგან ყველგან მონასტრებში დიდი სტუმართ მოყვარეობა არსებობს და, არამც თუ მომსვლელთ ართმევენ რასმეს, არამედ თვითონ ყოველისფერში ხელს უმართავენ და მლოცავნი დიდის სტუმართ მოყვარეობით სარგებლობენ!..

15 აგვისტოს, მოგეხსენებათ, საფარის მონასტერში დიდი დღეობა იცის, ჩვენც შევესწარით ამ დღეობას. სწორედ შუაღამისას რამდენიმე მანდილოსანი ბავშვებითურთ თავშესაფარს ითხოვდნენ წვიმიან ღამეში. მაგრამ ბერებმა უარი გამოუცხადეს ადგილის უქონლობის გამო თუმცა ფასიანი ნომრები თავისუფალი იყო და აბა, როგორ დაუთმობდნენ გაჭირვებულთ მუქთად?!

დღეობას ხალხი კვლავინდებურზედ ნაკლები დაესწრო. ვინც იყვნენ უმეტესად სოფლელები იყვნენ, რომელთაც რუსული ინხიც არ იცოდნენ და სასოებით-კი შედიოდნენ ეკლესიაში მიძინების წირვის მოსასმენად, მაგრამ ბერმა მონასტრულმა წირვამ —მასთანავე გაუგებარ ენაზედ—ხალხს სასოება დაუკარგა და მალ-მალ თავს ანებებდნენ და გამოდიოდნენ ეკლესიიდან. ნუ თუ მონასტრის გამგეთ არ შეეძლოთ რომ "უფალო შეგვიწყალეს" გალობა მაინც მშობლიურ ენაზედ მოეხერხებინათ? ამ დღისათვის უნდა მოეწვიათ ქართველი მღვდლები.

ახალციხეზედ გამოვლის დროს გაგვაოცა მისმა ღრო-ხიღრო და მინგრეულ-მონგრეულმა ქუჩებმა. მეტადრე ეგრედ წოდებულმა ნაწილმა ქალაქისამ „რაბათმა" თითქო ამ ქალაქს არც პატრონი ჰყავს და არც თავი აქვსო, რომ ქალაქისათვის ზრუნავდეს რასმე!...

ტრ. ინასარიძე.

სოფ. ძველი. (ახალციხის მაზრა) ამ სოფლის სახელწოდებასა და დაარსებაზე შემდეგი ზეპირ გადმოცემაა ხალხში დარჩენილი: ძველად ეს ადგილი ტყით იყო შემოსილი. ერთხელ ამ ტყეში მოვიდნენ გლეხები შეშის დასაჭრელად. შორით დაინახეს რაღაც შენობა. მივიდნენ და ჰნახეს, რომ ეკლესიის ნანგრევი იყო. გლეხებმა ეს ეკლესია გაანახლეს, შემდეგ, როდესაც ტყე გაიჩეხს, ეს ადგილი ძალიან მოეწონათ და აქ დაბინავდნენ. გაშენდა სოფელი და ამ ძველის ეკლესიის წყალობით სოფელს „ძველი" დაერქვა.

ამ სოფელში დღეს ორმოცამდე კომლი სცხოვრობს, რომელთა შორის, ხუთი თუ ექვსი კომლი მაჰმადიანია. სამი-ოთხი წელიწადია, რაც აქ დაარსდა ერთ-კლასიანი სამრევლო-საეკლესიო სკოლა, რომლის საქმეც ჯერ-ჯერობით კარგად მიდის.

ბაგრატ ბეთანელი.

ახალციხე როგორც მკითხველებმა იციან, აქ არსებობს წერა-კითხ. გამ. საზოგადოების, სახალხო სამკითხველო. გაზეთის ახალ ნომრებს თავის დროზედ ვერ ვღირსებით ხოლმე, რადგანაც კორესპონდენციების მომტანი რომელიც დაქირავებულია, თვეში ორ მანეთად, ხშირად თვითონ იტოვებს გაზეთებს შინ წასაკითხად და, მკითხველი-კი გულის ფანცქალით ელის ახალ გაზეთებს, ახალი გაზეთები მხოლოდ მეორე დღეს ძლივ გვეღირსება ხოლმე. საკვირველია გაზეთების ფოსტიდან გამოტანა რატომ თვით ბიბლიოთეკის მეთვალყურესვე არა აქვს დაკისრებული. მეთვალყურეც უცნაური გვყავს. წიგნის გამოცვლა რომ მოინდომოთ, ორ-სამი საათი მაინც უნდა უცადოთ, ვიდრე მობრძანდებოდეს. საჭიროა ყურადღება ვისგანაც ჯერ არს.

შინაური.

დ. სარხერი. აქეთკენ ზაფხული თითქმის ისე გამოგვეპარა ხელიდამ, რომ ვერც-კი გავიგეთ.

წვიმა ძალიან ხშირად მოდიოდა და უშლიდა ხალხს ლხინს უქმეებს ბაღებში ქეიფით, ჰაერზედ, ცას ქვეშ.

ერთმა ნუნუთი შეხურებულმა ვაჟბატონმა; ხელთ იგდო ყარამანის ბასრი ხანჯალი და დასჭრა თავსა და ხელში აქაური მეეტლე. რათა და მათა რომ «ბზობისას» როგორც რაინდი ეძახდა «უარი უთქვა» ეტლით ვერ გაგასეირნებო. ჩვენმა მკვლელმა მაინც თავისი არ დაიშალა და მიმართა მეორე მეეტლეს იმავე განძრახვით, მაგრამ ვერას გახდა. გაბრაზებული გამოუდგა მეეტლეს შუა ბაზარში, თავის ხანჯლით დასარტყმელად. მოთმინებიდან გამოსული მეეტლე მოუბრუნდა მარჯვე ხელ-კეტით და უთავაზა კარგა ლაზათიანად გვერდებში. მის მაგალითს მიჰბაძა აქაურმა ებრაელმა შაბათა შალელაშვილმა და ხანჯლით დასჭრა მძიმედ, თავისი მეზობელი.

ჭიათურის არეულობის დროს, აქაურ ბოროტ გამძრახველთ, კინაღამ ცეცხლის მსხვერპლი გაჰხადეს ერთის აქაურის დიდად პატივცემულის თავადის ოჯახი. დღის

ფელეტონი

საანბანო ჭეშმარიტება.

ბერძნების წარმოდგენით, სიბრძნე იყო დედა, რომელსაც ეყოლა სამი ასული: სარწმუნოება, სასოება და სიყვარული. უამათოდ, ამათ დაუხმარებლად, ქვეყნიური შვება-ბედნიერება შეუძლებელი იყო და მიტომაც ყველა მათკენ მისწრაფოდა. ნეტავი იმ ერს, რომელსაც ეს ალეგორია ესმის და სწამს!.. ის გინდ რიცხვმცირედიც იყოს, მაინც თვისას გაიტანს.

ერთ დროს, ოდესმე ქართველებსაც ჰქონდათ ეს სიბრძნე ეროვნულად შესისხლ-ხორცებული, მაგრამ დღეს-კი, როდესაც ზედაპირი სარჩულად მოგვექცა და სარჩული გაგვიზედაპირდა, ბერძნებისაგან ჩვენ მიერ მიღებული ალეგორიაც გადაგვიუკუღმართდა: სიბრძნის ადგილი უმეცრებამ დაიჭირა და წამოშობა: ურწმუნოება, უსასოება და სიძულვილი. და სწორედ ამისთანა დრო და ჟამზეა ნათქვამი: „სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობსო". მაგრამ, სადაც ძალაუნებურად შეზრდილხარ, იმასთან კავშირს ვერ გასწყვეტ სადაც უნდა იყო და როგორც... თაბორზე გაბრწყინვებული, თუ გოლგოთას ჯვარზე განთხმული. ამ ნახევარ საუკუნის განმავლობაში ცოტა გვინახავს დარი, უფრო მეტი ავდრიანი დღე გვდგომია, მაგრამ გაგვიძლია: ელვა-ჭექის არ შეგვშინებია, გრიგალ-ქარიშხალს არ გავქცევივართ, და სეტყვის დროს თავი სხვაგან არსად შეგვიფარებია. ყველა აგვიტანია... მესამოცე წლებში პირველ ბიჯის გადადგმას წინ რა დაუხვდა, თუ არ ჭექა და ქუხილი? ნუ თუ მაშინდელი გარეშეთა რისხვა და შინაურთა სამდურავი ორივეზედაც უარესი არ იყო? სხვა-და-სხვა გვარ რეფორმების შემოღების დროს მეკანგაშეობა განა ქარიშხალზე ნაკლებ მსუსხავი და საგრძნობელი იყო? და შინაგან საქმეების ვაწესრიგების გამო, ერთმანეთში ატეხილი შინაური ბრძოლა, სეტყვაზედაც უფრო მაზარალებელი ზოგიერთებისათვის, როდესაც, საზოგადოში გამცყუნებულ-დამარცხებულები, სამაგიეროს გადასახდელად, კერძოობაზე იყრიდნენ გულის ჯავრს? ამგვარი სამარცხვინო ბრძოლა დღესაც დიდ ყოფაშია, რასაც დღევანდელი არჩევნები გვიმტკიცებენ.—და მაშინ ხომ რაღა უნდა ყოფილიყოს?!. „სხვათა ჭირიო, ღობეს ჩხირიო". ვისაც არა გადახდომია-რა, ის რას დაეძებს? მაგრამ, აბა, ახლა ერთი მესამოცე წლების მოღვაწეებსაც ჰკითხეთ!.. მე ვამბობ აქ იმ თითო-ოროლა ნამდვილ მშრომლებზე, რომელთაც კიდეც დაეტყოთ, რომ მათ თავზე წისქვილის ქვას უტრიალია და არა იმ გუგულა მამულიშვილებზე, ჩვენს საბუდარში რომ მხოლოდ თავის გამოსაჩენად, ხან-და-ხან უკაკანიათ და კვერცხი კი სხვის საბუდარში უდვიათ!.. ამას ჩვენ არც კი გავიხსენებდით და არას ვიტყოდით, რომ იძულება არ გვადგეს. და ეს იძულება არის უსამართლო შეხება ჩვენის წარსულისა ზოგიერთებისაგან. სხვისი ვისიმე თავ-გადასავალის აწონ-ვაზომა და დაფასება მხოლოდ მაშინ—იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როდესაც იმ სხვას სხვისი თავ-გადასავალი სავსებითა აქვს უმეტნაკლებოდ გათვალისწინებული. და ამისთვის კი საჭიროა, ან თანამედროულობა, რომ ყოველივე თვითონ ენახოს და მოესმინოს, ან სარწმუნო ნათქვამის დაჯერება და ან კიდევ ნაწერების გადასინჯვა, თუმცა ეს უკანასკნელი საშუალებაც, როგორც ცენზურის ქარ-ცეცხლში გატარებული და ალვირ-ასხმული, უნაკლულოდ, სავსებით, ყველაფერს ვერ დაანახვებს. და ჩვენს წუნის მდებლებს კი არც ერთი ამ ზემომოყვანილ საბუთთაგანი ხელთ არ უპყრიავთ. ასე გასინჯეთ, უკანასკნელიც კი, ესე იგი, ნაწერები, თვალსა და ხელ შუა გამოპარვიათ: არ წაუკითხავთ და თუ წაუკითხავთ ან ვერ გაუგიათ და ან განზრახ მოუნდომებიათ გადაფუჩეჩება, რომ სხვებსაც მხარი აუქციონ. ასეა თუ ისე, ყოველ შემთხვევაში ჩვენის მხრით მათი წაყრუება მათთვისვე არ ივარგებს. უნდა აღვიაროთ კი, რომ შეკამათება ჩვენი და მათი თანასწორი არ იქმნება, რადგანაც დღეს ისინი უკეთესს საფარში სხედან და იმათ არა საიგავო საკითხავებს ჩვენ კი იგავებით უნდა ვაგოთ ხოლმე პასუხი: „მიეცით კეისრისა კეისარსაო" და სხვანი... დასაფიცავი აღარ არის, რომ იარაღი იმათ უფრო გასაბედავი უპყრავსთ ხელში, ვიდრე ჩვენ. მაგრამ ნათქვამია: „მგლის შიშით ფარა ვის გაუწყვეტიაო?" შიშით ვერც ჩვენ ჩავიგუბებთ პირში წყალს და ვიტყვით, რამდენადაც კი მოსახერხებელია თქმა!.. მაგრამ შორიდან კი დავიწყებთ.—„ციხე შიგნიდან გატყდებაო", საქართველოც გვართა ბრძოლამ დაამხო. იქ, სადაც ჰაერი კეთილშეზავებულია და ნიადაგი სანაქებო, ყოლიფერი ადვილად აღმოცენდება და ხარობს... როგორც ია-ვარდი, ისე ეკალნარიც. ძველად ქართველებს დიდი ვაჟკაცობის სახელი ჰქონდათ განთქმული და ამ პატარა სამეფომ მართლა და ბევრი შესანიშნავი გმირები წარმოშობა. მაგრამ ეს გმირები მტრებს უფრო გამოადგებოდნენ ხოლმე ვიდრე მოყვარეს. სპარსეთისა და ოსმალეთის გაძლიერებას ხშირად ხელს უწყობდენ და სამშობლოს კი, რომ შეეძლოთ, იმდენს ვერას უკეთებდენ. მაგალითად: გიორგი XI, ავღანისტანის დამპყრობელი, გ. სააკაძე სპარსელების ძლევა-მოსილი სარდალი და ოსმალებისათვისაც ბაღდადის ამღები, პატარა-კახი, ინდოეთის კალთების მომსვრელი და სხვა. რა უშლიდა ხელს ამ საოცარ გმირებს, რომ შინ იმდენს არას ახერხებდნენ, რამდენსაც გარეთ? გვართა ბრძოლის გამომწვევი შური და სიხარბე. მაგალითად: უცხოეთში სააკაძის მხრის მიმცემი, ან და მეგობარი ზურაბ ერისთავი, შინ დაბრუნების შემდეგ მტრად უხდება მასვე და ყოველ საქმეში წინ ეღობება. ახირებულია!.. და ეს ახირებულობა მარტო ზურაბს-კი არა სჭირს, საზოგადო მოვლინებაა ყველასათვის საქართველოში. ერთი რომ წალდმა სთესავს, მეორე უკუღმა ჰფარცხავს. და ერთი რომ ართავს, მეორე ჰცარავს ჯიბრით გაბოროტებული. თითქოს ერთსა და იმავე დროს რამდენსამე გამოჩენილ პირს ვერ იტევს სამშობლოო! ბევრჯელ გვითქვამს და ახლაც კიდევ უნდა გავიმეოროთ: მეცხვარის ძაღლებს რომ ზოგჯერ ჩხუბი მოუვათ ხოლმე და ხორხოზის დროს ერთმანეთსა ჰგლეჯენ, მაშინ მწყემსები, სხვაფრივ რომ ველარაფრით აშველებენ, ვერც ქვით, ვერც ჯოხით და ვერც თავზე წყლის დასხმით, უკანასკნელ საშუალებას მიჰმართავენ ხოლმე. დაიყვირებენ: „არიქა მგელი! მგელი მოდისო"! და ძაღლები, ამის გაგონე, მაშინვე შესწყვეტენ ბრძოლას და ყველა ერთად მწყობრად მიაშურებენ გარეშე მტერს. საკვირველია, რომ საქართველოს დიდებულები-კი ვერ ახერხებდნენ ამას და პირ იქით მირბოდენ მტრის მოსაყვანად: გვიშველეთ, პირადად ნუ გვაჭმევთ სირცხვილს და ჩემ სამწყსოს გინდ მუსრი გაავლეთო.

ამ საუბედურო სენით შეპყრობილია მხოლოდ მაღალი წოდება და მათი წარმომადგენელი ერისთავ-დიდებულები, რომელთაც ქვეყნის მეთაურობა ეპყრათ ხელში და არა გაურჩევლად მთელი მაშინდელი თავად-აზნაურობა, როგორც ზოგიერთებსა ჰგონიათ. უმეტეს ნაწილს მაშინდელ თავად-აზნაურობისას ერთად ერთ წოდებასთან, ე. ი. გლეხობასთან, ქვეყნის სამსხვერპლოდ ჰქონდათ თავი გადადებული. და თუ ოდესმე მტრის რაზმს, ქართველებზე სამტროდ მოსულს, გვერდში ამოსდგომიან, ეს იძულებითი ყოფილა, და არა სურვილით ჩადენილი. იმ დროს ხომ ყმა ბატონის სურვილს ვერ გაუდგებოდა, რომ მისი ბრძანება არ აესრულებინა, ისე როგორც დღეს სალდათი ვალდებულია დაემორჩილოს ოფიცრობას. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ დღევანდელი სალდათი ყველგან სალდათია და მაშინდელი ყმა-კი მარტო ბატონის ყმა იყო და ბატონის ნებასურვილის გარეშე თავის საკუთარ აზრზე იდგა. ამას სხვათა შორის „მარაბდის ომიც" გვიმტკიცებს, სადაც, იარაღი რომ აღარა ჰქონდათ, სულ კეტებით გადიოდა საომრად გლეხობა, ერთად თავად-აზნაურობასთან, ორივ ერთად ძმურად სამსხვერპლოდ თავ-გადადებულნი. და ოჯახიდან თითო-კი არა, ყველა, ვისაც-კი ხელში იარაღის აღება შეეძლო, არ დაკლებია და სიკვდილს არ გაქცევია, ერთი მეორეზე ეჩეხებოდნენ. მაგალითად 9 ძმა ხერხეულიძე, 9 ძმა მაჩაბელი, 7 ძმა ჩოლაყაშვილნი და სხვანი. 9 ათასი ქართველი დაეცა ბრძოლის ველზე და მათ რიცხვში გამოჩენილი ვაჟკაც-გმირებიც: თეიმურაზ მუხრან-ბატონიშვილი, დავით ალანიშვილი, ბაადურ ციციშვილი და სხვანი... შემცდარია ის, ვინც ჩვენ წინაპრებს ყველას ერთგვარად მოიხსენიებს და გაურჩევლად წუნს დასდებს გვართა-ბრძოლაში. დიდი უსამარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრის ნახევარზე, მიეპარა მის დადგმულ ძნას კალოზე ვიღაც თავზედ ხელ-აღებული, ცეცხლი წაუკიდა და მიიმალა. მესამე დღეს კიდევ ცეცხლი წაუკიდეს თავად წ—ლის ძნას. და იქვე ახლო გლეხებისაც ძლივ-ძლივობით გადაარჩინეს სრულებით დაწვას.

ათინაშვილი.

ს. სხვავა (რაჭის მაზრა). წრეულს სოფლის მოხელეების არჩევნები ძალიან დაგვიანდა. წინად თუ მაისში ამოირჩევდენ ხოლმე, ახლა მარიამობისთვე გადის და ჯერ არჩევნებისა არა ისმის რა. დაგვიანება-კი არაფერია, თუ იმისთანები ამოირჩიეს, რომლებიც სოფლისათვის არიან სასარგებლო და სასურველი. საქმე ის არის, რომ ბევრგან სოფელში მოიპოვებიან იმისთანები, რომლებიც თავის ნებაზე ატრიალებენ მთელს სოფელს. ერთი ბუმბერაზი ჩვენც მოგვეპოვება. ვსთქვათ ამოირჩიეს ვინმე სოფლის მამასახლისის თანაშემწედ. ეს კაცი მივა ამ ბუმბერაზთან, შეჰპირდება, ან მაშინვე მისცემს ხუთ მანეთს. ისიც ურჩევს სოფელს გაანთავისუფლონ ეს კაცი. სოფელიც სულ მუდამ ეთანხმება. თუმცა გულში ბევრია წინააღმდეგი, მაგრამ აშკარად წინააღმდეგობას ვერავინ გაუბედავს. უშველად გააფუჭებს როდისმე საქმეს. მამასახლისათაც სულ მუდამ თავისთვის სასურველს ირჩევს. სასურველია, რომ ამ გარამოებას ყურადღება მიაქციონ ვისიც ჯერ არს.

ს. ტ.

რუსეთი

ამ დღეებში მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრმა განკარგულება მოახდინა, სემენარიელებსაც მიეცით ნება ეგზამენები დაიჭირონ სამთამადნო ინსტიტუტშიო.

— საქველმოქმედოდ პეტერბურგის ქალაქის თვით-მმართველობამ ჩაურთო სამერმისო ხარჯთ-აღრიცხვაში 197 ათასი მანეთი.

— გზათა სამინისტროს შეუმუშავებია ახალი პროექტი ნორმალურის ხელ-შეკრულობისა და საფუძველნი იმისი, თუ როგორ უნდა გაიცეს იჯარით ბუფეტები რკინის გზებზედ. ახალის პროექტით მეტი ყურადღება ექმნება მიქცეული ბუფეტის ამღებთა მოქმედებას.

— ბერდიანსკში სიონისტების კრება იყო. პოლიციამ კრებაზედ დამსწრე 62 კაცი სამართალში მისცა, სავალდებულო დადგენილება დაარღვიეს და კრება გამართეს პოლიციის ნება-დაურთველადო. დამცველმა სთქვა, რომ იმისთანა კრების გამართვის ნება ყველას აქვს, რომელსაც არ მოჰყვება დარღვევა საზოგადოებრივის მშვიდობიანობისა და წესიერებისაო. თან სენატის გარდაწყვეტილებაც მოიყვანა ამ გვარ შემთხვევის შესახებ. მოსამართლემ გაამართლა ბრალდებულნი.

— ყირიმში საკმაოდ აუწევია ჭირნახულის ფასებს. ქერი იყიდება 49—50 კ. პური 82 – 83 კ. საუკეთესო ხორბალი 85 კაპიკათაც იყიდება თურმე.

— სამარის გუბერნიაში განუზრახავთ, გუბერნატორის წინადადებით, სოფლის მწერალთათვის კურსების გამართვა.

— ოდესის ახლად დაარსებულ საპედაგოგიო დედათა კურსებზედ 2 დღეში 120 თხოვნა შეუტანიათ. თხოულობენ შესვლას უფრო ისტორიისა და სიტყვიერების განყოფილებაზედ. ლექციების კითხვა დაიწყება 15 სეკდემბრიდან.

— ნება დაურთავთ ოდესაში ურიათათვის სავაჭრო სკოლის დაარსებისა.

— მიწად-მოქმედების სამინისტროს გამოუწერია ამერიკიდან საზამთროს თესლი სარატოვის გუბერნიაში და ზოგიერთ სხვა ადგილას საცდელად დასათესად.

უცხოეთი

ავსტრია-უნგრეთი. რუსეთის შავის ზღვის ესკადრის ოსმალეთს გაგზავნის შესახებ გაზ. „ზეიტ.“-ი ამბობს:

„როგორც-კი რუსეთის ესკადრა ბოსფორის შესავალთან გაჩნდა, ხონთქარმა მაშინვე დააკმაყოფილა რუსეთის მთავრობის ყველა მოთხოვნილებანი. აბდულ-ჰამიდს ისე აშინებს ომის აჩრდილი, რომ მზადაა თავიც-კი დაიმციროს, ოღონდ-კი ომში არ ჩაითრიონ. მაგალითად, ხონთქარმა აღკრძალა დიდ რაზმების გაგზავნა იმ სანაპიროსაკენ, რომლის მახლობლადაც რუსეთის ესკადრა იდგა, თუმცა სწორედ იმ მხარეს უფრო მძვინვარებდნენ მეამბოხენი: აიკლეს, გაანადგურეს და მერმე ცეცხლი მისცეს მთელს იმ არე-მარეს. მცხოვრებნი სტამბოლსა და სკუტარს გაიქცნენ. მათ მეამბოხეთა წინააღმდეგ ჰგზავნიდნენ ცხენოსან პატარა რაზმებს, 50—60 კაცსა, რომელნიც ან სრულიად იჟლიტებოდნენ, ან უკანვე გამორბოდნენ ძლეულნი. ეს კიდევ არაფერი, ოსმალების სიმდაბლემ უკიდურესობამდე მიაღწია: ხონთქარმა პირადად გაუგზავნა დეპუტაცია საჩუქრებით რუსეთის ესკადრის უფროსს, საჩუქრები რუსის მეზღვაურებმა ჩამოართვეს დეპუტაციას და გემზედაც კი არ მიიწვიეს ოსმალეთის გემის უფროსი. იმას ისე მოექცნენ, როგორც ფოჩტალიონს,—წერილები და დეპეშები გაატანეს რუსეთის საელჩოს გადასაცემად. შემდეგ თან გააყოლეს ორი ნაღმიანი გემი, სანამ ბოსფორის შესავალში არ შეუხვია ოსმალეთის გემმა.

გაზ. „ვოს. ზეიტ.“-ის სიტყვით, ჩემს დეპუტატებს ბაკსა და კლოფაჩს წარუდგენიათ ჩეხიის ყველა დასთა წარმომადგენლებისათვის თავისი ეროვნულ მოთხოვნილებათა პროგრამმა მხედრობის შესახებ. ითხოვენ, რომ ავსტრიის მხედრობაც ისე მოეწყოს, როგორც უნგრეთის გენვედები, ე. ი. სახეში უნდა იქონიონ ჯარის-კაცის ეროვნება; იმ ჯარებში, რომელნიც ჩეხთაგან შესდგებიან, ჩეხურ ენაზე უნდა სწარმოებდეს გაწვრთნა ჯარის-კაცთა. გარდა ამისა სამხედრო სასამართლოში სჯა-კამათი ბრალდებულის დედა-ენაზე უნდა იყოს ხოლმე.

მაკედონია მაკედონელ მეამბოხეთა წინამძღოლების დასახასიათებლად მეტი არ იქნება მოვიყვანოთ გაზ. „ბელგრადე ნოვინე“ს სოლუნელ კორესპონდენტის წერილი „კაპიტან პავლე“-ს შესახებ, რომელსაც კარგად იცნობენ სოლუნის ვილაიეტის ქრისტიანენიცა და მაჰმადიანნიც.

„აჯანყება თანდათან ძლიერდებაო— სწერს კორესპონდენტი. ოსმალეთის მხედრობას არამც თუ არ ძალუძს ამბოხების ჩაქრობა, პირ-იქით, თავის მოუფიქრებელ მოქმედებით უფრო ხელს უწყობს მის გაძლიერებას. მეამბოხენი დღითი-დღე უფრო და უფრო მეტ სიმამაცეს და გამბედაობას იჩენენ. მათნი წინამძღოლნი (უმეტეს ნაწილად სრულიად გაუწვრთნელნი სამხედრო საქმეში) საარაკო შეუპოვრობას იჩენენ. წინამძღოლთა შორის ყველაზედ მეტად სახელი გაითქვა „კაპიტანმა პავლემ“—სოფ. ბუგარიევოს მცხოვრებმა. პავლე წინად სოფლის უბრალო მუშა გლეხი იყო, მშვიდი და უწყინარი კაცი. სანამ ოსმალებმა არ მოუკლეს ძმა და ძმისწული და მისი სახლკარიც არ აიკლეს, პავლე თავის გუთანს არა ჰშორდებოდა, ხმასაც არ იღებდა. მაგრამ მაშინ-კი გამწარდა, მიატოვა ყველაფერი, მოუყარა თავი პატარა რაზმსა, ახსენა ღმერთი და გავიდა ბრძოლის ველად ოსმალთა ძალ-მომრეობით გაფთრებული პავლე აღარა ჰზოგავს ოსმალებს, შეუბრალებლად სდევნის და ჰჟლეტს, სადაც მოასწრებს ხოლმე. ერთხელ გიორგი ვენჩევი (მეორე წინამძღოლი მეამბოხეთა) შეხვედრია პავლეს და უკითხავს, — რამ გაიძულა, პავლე, რომ თავზედ ხელი აიღე, მიატოვე სახლკარი და ყანები და მტერს გაუმკლავდიო. პავლემ მიუგო: „აქამდე პატიოსანი და კეთილი მუშაკი ვიყავი, მაგრამ ოსმალთა მხეცობამ ულმობელ მტარვალად გარდამქმნა და დღეიდგან აღარ დავინდობ არც ერთ ოსმალსაო“. ასეც იქცევა! სადაც-კი მოასწრებს ოსმალს, ვინც უნდა იყოს იგი—უბრალო გლეხი, ბეგი, თუ მოხელე, ყველას სიცოცხლეს ასალმებს. პავლე—განხორციელებული გულისწყრომაა დათრგუნვილ მონისა: თავის თავზედ გამოსცადა, თუ რა ყოფილა ხალხის ჩაგვრა, მისი გაუპიროვნება, და მიტომ გადასწყვიტა ქომაგად გაუხდეს მრავალ-ტანჯულ ხალხსა, თუნდაც რომ ეს გამოსარჩლება სიცოცხლედ დაუჯდეს. ესაა მიზეზი, რომ ხალხმაც შეიყვარა თავისი წინამძღოლი და ყველანი შემწეობას აძლევენ შეძლებისადაგვარად. ოსმალეთის მთავრობა გამშმაგებით დაეძებს პავლეს, მაგრამ რას გახდება, როცა ყოველი ქრისტიანი მკვიდრი სოლუნის ვილაიეტისა თავის შვილს, ან ძმას უფრო გასწირავს, ვიდრე თავის სათაყვანო წინამძღოლს. კაპიტან პავლეს რაზმი ჯერ არსად დამარცხებულა და ამიტომ დღითი დღე იზრდება. როდესაც ოსმალნი მის მიახლოვებას გაიგებენ, თავზარდაცემულნი უგზო-უკვლოდ გარბიან.

პავლე—წარმოსადეგი და მძლავრი კაცია, შავ წვერ-ულვაშა და მეტად გამომეტყველი სახის პატრონი. ხასიათით—მეტად დინჯი, გაბედული და უშიშარი. ჯერ გაღიმებული არავის უნახავს. თმა მუდამ გაბურძგნული აქვს. მის ქუდზედ აწერია: „სიკვდილი, ან სიცოცხლე“. იცვამს ჩვეულებრივ მაკედონურ ეროვნულ ტანისამოსს.

ნარკვევი

22 აგვისტოს შესრულდა 20 წელიწადი მას უკან, რაც გარდაიცვალა საფრანგეთში პარიჟის მახლობლად შესანიშნავი რუსეთის მწერალი ი. ს. ტურგენიევი. ტურგენიევის ნაწერები პოეტური მატიანე იყო რუსეთის ცხოვრებისა თითქმის 40 წლის განმავლობაში. ვინც იმის ნაწერებს გაიცნობს, ნათლად გაითვალისწინებს თვით რუსეთის ცხოვრებისა და საზოგადოების ისტორიას 50 წლიდან 80 წლამდე.

მის წამოსვენებას საფრანგეთიდან დაესწრო დიდი რიცხვი საფრანგეთის განათლებულ კაცთა. დაესწრო დიდებული რენანიცა, რომელმაც მის კუბოს წინაშე წარმოსთქვა, სხვათა შორის, შემდეგი:

> სახელი და დიდება დიდებულ სლავიანთა მოდგმას, რომლის გამოჩენა ისტორიის ავან-სცენაზედ დიდად საოცარი ამბავია ამ ჩვენის საუკუნისა; სახელი და დიდება ამ მოდგმას, რომ მან ასე მალე ჰპოვა გამომხატველი თვისი. არასოდეს საიდუმლონი ერის ცნობიერებისა, ჯერ ისევ ბნელითა და წინა-უგრძნობით სავსესი, არა ყოფილა ისეთის საოცარის შორსმჭვრეტელობით გამჟღავნებული, როგორც ეს მოახერხა ტურგენიევმა. ტურგენიევი გრძნობდა და შემოქმედობდა ბუნებრივ, თითქო მექანიკურად, გარნა მუდამ ახსოვდა თავი; იყო ერთან ერთად და თან რჩეულიც ერისა; შემოქმედობაში გრძნობიერი, როგორც დედაკაცი და შეუშფოთებელი, როგორც ასატომი; მოშორებული ცრუ მორწმუნოებას, როგორც ფილოსოფოსი და ნაზი, როგორც ბავშვი. ბედნიერია ის ერი, რომლის განხორციელება შესაძლებელ იქმნა ცნობიერის ცხოვრების პირველ საფეხურზედვე ისეთის ტიპებით, რომელიც ერთსა და იმავე დროს გულ-უბრყვილონიც არიან და ღრმად ჩასაფიქრებელნიც, რეალურნიცა და მისტიკურნიც.

შემდეგ რენანმა განაგრძო:

> ტურგენიევი ერთს ტომს ეკუთვნოდა გრძნობითა და შემოქმედებით, გარნა ეკუთვნოდა მთელს კაცობრიობას უმაღლესის ფილოსოფიის ძალით, იმ ფილოსოფიის ძალით, რომელიც დამშვიდებით და გარკვევით უცქერის კაცობრიობის ცხოვრებას და სცდილობს წინასწარ აუხემებელის აზრით შეიგნოს ნამდვილი ცხოვრება. იგი ფილოსოფია ტურგენიევის შემოქმედებაში შეუერთდა სულის სიმშვიდეს, ცხოვრების სიყვარულს, შებრალების გრძნობას ცოცხალ არსებათა მიმართ, მეტადრე უბედურების მსხვერპლთა მიმართ. ტურგენიევს მხურვალედ უყვარდა იგი საწყალი კაცობრიობა, მართალია, ხშირად ბრმა, მაგრამ ხშირადვე მოტყუებული თვისთა წინამძღვართა მიერ... ტურგენიევს ჭეშმარიტად ხელთ ეპყრა საიდუმლო საუკუნო ცხოვრებისა, საიდუმლო მშვიდობის ყოფისა, სიმართლისა, სიყვარულისა, თავისუფლებისა.

თეატრი და ხელოვნება

ქ. ბათომი. კვირას, 24 აგვისტოს, აქაურმა სცენის მოყვარულებმა, ბ-ნ კალანდარაშვილის მეთაურობით, წარმოადგინეს ა. ცაგარლის 4 მოქ. დრამა „ქართველი დედა“. ლეილას როლს თამაშობდა ქ. მდივანი და კარგიც იქნებოდა, რომ ხელიარ შეეშალათ დანარჩენ მოთამაშეთ. თავი მოგვაბეზრეს ამდენის უხეირო წარმოდგენებით და ძრიელ კარგს ინებებენ, რომ თავს დაგვანებებდნენ.

ახალ ჩამოსული.

ოზურგეთი. აქაურმა დასმა 24 აგვისტოს გამართა მეოთხე იაფ-ფასიანი წარმოდგენა. წარმოდგენილი იყო. „ადამ და ევა“ დ. მესხისა, „დატრიალდა ჯარა“ კ. ყიფიანისა და „მონადირე“ ვ. გუნიასი. მონაწილეობას იღებდნენ ქ-ნნი: ე. წუწუნავა, კ. ხურციძე; ბ-ნნი: ალ. წუწუნავა, უწყინარიძე (ვასო ურუშაძე) და სხვა. წარმოდგენამ ძალიან მხიარულად ჩაიარა. თითქმის ყველამ კარგად იცოდა თავისი როლი. ბევრი აცინა საზოგადოება ა. წუწუნავამ სოსიას როლში. ეს პირველი ნიმუში იყო აქ იაფ-ფასიანის წარმოდგე-

---

თლობა იქნება, რომ დიდ-მოურავს შადიმან ბარათაშვილი ამოვუყენოთ გვერდში აღბულა ათაბაგს-ბექა და გივ ამილახვარს მისი სახლიკაცები!.. ორად განიყოფებოდა ძველად ჩვენი თავად-აზნაურობა: ერთი ქვეყნის მოყვარული და თავდადებული, მეორე გარეწარი, ორგული და მოღალატე. პირველი რომ ქვეყნისთვის ფიქრობდა და ზრუნავდა, მეორეს მხოლოდ საკუთარი საპირადო ანგარიშები ახელმძღვანელებდა. პირველის მცნება იყო გლეხკაცური ანდაზა: „ჩიტი სადაც დაიბადება, მისი ბაღდადიც იქ არისო! მეორესი-კი: „სადაცა ვიყო რა მგამაო“ და „თუ მე აღარ ვიქნები ქვა-ქვაზედაც ნუღა ყოფილაო“. საგულისხმოა: ეს ორი დასი ერთსა და იმავე დროს, ერთსა და იმავე ქვეყანაში, ერთსა და იმავე ფესვზე ამონაცენი რათ განსხვავდებოდა ასე... აღზრდის ბრალი იყო: ერთს რომ დაბალ წოდებასთან ერთად ქართლის ძუძუ ჰქონდა შენაწოვი, აღზრდის დროს საფუძვლად „ვეფხვის ტყაოსანი“ ჰქონდა და სარქველად წმინდა სახარება, მეორე სხვის კარზე იზრდებოდა, სხვის გემოზე კი ფირდოუსისა და მოგვთა ზღაპრების გავლენით გრძნობა-გონება გახუნებულს მშობლიური აღარა ესისხლხორცებოდა რა. ამგვარად აღზრდილი გინდ მართლა გმირიც იყოს და ბოროტი არ სურდეს მის ქვეყნისათვის, მაინც ბევრ სიკეთეს ვერ მოუტანს, როგორც გარეწარი და შინაურ ალღოს ველარ ამღები. ამას გვიმტკიცებს მაჰმადიან როსტომ მეფის მოღვაწეობა: არც ერთი მისი ზვარაკი სამშობლოსადმი წმინდა მსხვერპლად არ შეიწირა და, წინააღმდეგ შემწირველის სურვილისა, ნაყოფიერი არ გამოდგა. მაშინდელ ორად გაყოფილ ჩვენ თავად-აზნაურობაში, რაღა თქმა უნდა უთანხმოება და ბრძოლა უნდა ყოფილიყო. ებრძოდენ შინაურები გარეწრებს და ძლევაც ამათვე უნდა დარჩენოდათ, რომ გარეშე ძალას არ შეეშალა მათთვის ხელი. სპარსეთისა და ოსმალოს პოლიტიკა მხარს აძლევდა გარეწრებს და საერო საქმეებს თავში უყენებდა. ვერც აღბუღას სამართლის წიგნი, ვერც გიორგი ბრწყინვალის კანონები და ვერც ვახტანგის სჯულდება ველარ იფარავდნენ ქართველებს. გაიძვერული პოლიტიკა გარეშე მტრებს ყველას სცარავდა და ამგვარად ციხე შიგნიდან ტყდებოდა.

დღეს ძველი დრო გადასულია. თავად-აზნაურობამ თავისი პური შესჭამა და მაშინდელი გვართა-ბრძოლაც თან გაჰყვა.— სხვანაირმა ცხოვრებამ, სხვა გვარმა მოთხოვნილებამ და სულ სხვა კაცებმა იჩინეს თავი! თავად-აზნაურობის ადგილი ახალთაობამ დაიჭირა და ერისთავ-დიდებულებათაც მათი წარმომადგენლები არიან. ჩამომავლობითი ერისთაობა გათავდა... დღეს ის უნდა მეთაურობდეს ვინც მართლა თავიანია. კეთილი და პატიოსანი! იმას რაღა აჯობებდა ჩვენ საკეთილდღეოდ, რომ ძველებური „გვართა ბრძოლის“ მსგავსი სენი აქაც არ გაჩენილიყო!.. დღევანდელი ჩვენი მეთაურებიც, შურითა და მტრობით გამსჭვალული, ერთმანეთს აღარ ზოგვენ. ერთს აღბუღას ათი და ოცი ბექა და ყვარყვარე სდევნის, ერთს სააკაძეს ასი და ორასი შადიმანი ელობება წინ და ერთს გივს ათასი და ათი-ათასი ჩია-კაცები აღარ აძლევენ მოსვენებას. საზოგადოდ დღევანდელი ძალაც აღმართსა ჰხნავს, შინა ერს ნათესში მზა-მზარეული გარეწრები ნამგალს ატრიალებენ, რომ სხვის ბაზრისკენ გაიტანონ. ერთი სიტყვით დღევანდელი ჩვენი მოღვაწეობაც წარსული დღის უტყუარი პირია. ახლა გადავიდეთ მესამოცე წლების მოღვაწეებზე. ახალცხოვრებისკენ პირველი ბიჯი იმათ წარსდგეს და ერთხანად მათი შრომა-მოღვაწეობაც სწორედ მოციქულებრივი იყო, მაგრამ, ბოლოს, როცა ბანკები და არჩევნები უდროვოდ შემოგვეჩხირა, მაშინ ჩამოვარდა მათ შორის განხეთქილება და უთანხმოებამ ორ ბანაკად გაჰყო. ერთი, რომელიც უფრო წინდახედული იყო და უფრო მეტს ფიქრობდა თავის თავზე ვიდრე საზოგადოზე; და საზოგადო საქმეებსაც, რომელიც იმავე დროს მათვის პირდათაც ხელსაყრელი არ იყო, გვერდს უვლიდა, რასაკვირველია, თავში მოექცა ის გაფანატიკოსებულ უმცირესობას, რომელსაც საპირადოზე თვითონ ხელი აელო,—და დაირჩინა ბურთი და მოედანი. დღევანდელი ახალთაობაც იმ ორის მაშინდელ წარმომადგენელის მიმდევარია: უმეტესობა პრაქტიკულ წინდახედულობის და უმცირესობა-კი იდიალისტის. „ხელი-ხელსა ბანსო“, რასაკვირველია პირველს უფრო მეტი აღმსარებელ-მიმდევრები და მომხრეები ჰყავს ვიდრე მეორეს ამას ცხოვრების სიტკბოება მოითხოვს. და ამიტომაც ყოველგვარ დღევანდელ ჩვენ დაწესებულებასა და საზოგადო საქმეებში მეთაურებად არიან და თავისიანს, ესე იგი მათ მომხრეებს, როგორც მრჩევლებს, გზას უკვალავენ, გინდ უღირსიც იყოს და ღირსეულ ურჩებს-კი სდევნიან საქმითაც და სიტყვითაც. ამ ცოდვების განსაწმენდათ მსხვერპლი არის საჭირო და ზვარაკად მომავალი ახალთაობა. მის მოსვლამდი-კი ქვეყანა თვალ-ახვეულია. როგორც ებრაელები მოელოდნენ მესსიას, ისე ზოგიერთი მესამოცე წლების მოღვაწენიც მოელოდენ ახალდგმას *). მათ რიცხვში გიორგი წერეთელიც, რომელმაც მეტის სულწასულობით კარლ მარქსის მოძღვრების ფეხის ამყოლები მიიღო „მომავლად“ უწოდა „მესამე დასად“ და სიმონ მოხუცებულსავე სთქვა: აწ განმიტევეო. მაგრამ ვერ გაუვიდა ნამდვილი მიმრქმელობა. რა იქნებოდა ახალი აღთქმა, რომ ძველი აღთქმა სრულიად უარეყო და მის საფუძველზე არ აეგო ქრისტიანობა?— მესამე დასელებს ბევრი სიმართლე უჭირავსთ ხელში, როცა პირდაპირ ჰგმობენ ფარისევლობასა და მეზვერობას და ჩვენი თანაგრძნობაც მათკენ იქნებოდა, რომ იმავე დროს სრულიად უარს არ ჰყოფდნენ წარსულს და ავსა და კარგს ერთისა და იმავე გოდრით არ აგორებდნენ უფსკრულისაკენ. რასაკვირველია, ისინი ამას შურით, მტრობითა და სიხარბით არ ჩადიან. დარწმუნებულნი არიან თავისს სიმართლეზე და უნდათ რომ ყველგან თავისი გაიყვანონ და, ვინც წინ ელობება მათ მოძღვრებას, უნდათ მისი ხალხის თვალში დამცირება; სცდილობენ, როგორმე თავიდან მოიშორონ და ხშირად, ნამეტანი ნდომის გამო, ლოლიკასა და სიმართლის მხრით წაიფორხილებენ ხოლმე და ამით მათს გულ-წრფელობასა და მხნეობა-ბეჯითობას ბევრს უკარგავენ.

ის გზა, რომელსაც დღეს ისინი ადგიან, არა თუ გამოსადეგია ცხოვრებაში, აუცილებელადაც საჭიროა ჩვენთვის. მაგრამ გზაზე დადგომასაც და წინსვლასაც სიფრთხილე და წინ დახედულობა ეჭირვება. თვარა თავ-აღებულად ლაჯუნი ადვილად სადმე წააკვრევინებს ფეხს. მარქსმა სთქვა ერთხელ თავის თავზე: „რაც გინდათ ვარ, მაგრამ მარქსელი კი არა ვარო“. ამით რა იგულისხმება? ის რომ მეცნიერს ბოლოს დროს ზოგად თვისი ნამოძღვრალი აღარ ჰაშნიკებია და საზოგადოდ მისს მიმდევრებს, ყველა ადგილი ისე ვერ გაუგიათ, როგორც თვით მოძღვარს ესმოდა. თუ ეს ითქვა განათლებულ ევროპიელების შესახებ, მაშ, რაღა უნდა ვსთქვათ ჩვენებურ მარქსელებზე, როგორც ანარეკლის ანარეკლზე, რომელნიც დედანს სიახლოვესაც არ მიჰკარებიან და რუსული აზრის ლარი გადაულიათ და ისე გაცნობიან მარქსის თეორიას?—მე როცა ჩვენებურ მარქსელებზე ანუ მესამე დასელებზე ვამბობ, აქ სახეში ის უმრავლესობა კი არა მყავს, რომელთაც მარქსისა და შექსპირის ერთმანეთში გარჩევაც არ შეუძლიანთ და მხოლოდ ფეხის ხმის აყოლით იძახიან „დასელი ვართო“, მე მხოლოდ ისინი მყავანან მხედველობაში, რომელთაც გაეგებათ რამ. ამათი შეცდომა ის არის, რომ ცხოვრების ყოველგვარ საჭიროებას და მოვლინებას: სარწმუნოებას, ხელოვნებას, მეცნიერებას და სხვათ, მარტო მხოლოდ მატერიალისტურ სარჩულს უდებენ და ავიწყდებათ დიდი მოძღვრის სიტყვა: „არა პურითა მხოლოდ სცხონდეს კაციო“;—„აწმყო, ნაშობი წარსულისა, მშობელია მომავლისა“.

ვინც წარსულს ივიწყებს, ის მომავალზედაც ხელს იღებს და, მარტო აწმყოზე შეჩერებულა, უსულდგმულო, საპირუტყვო ფარგალში რჩება. და ჩვენ კი გვინდა მისთანა მომავალი თაობა, რომელიც უარის მყოფელი-კი არ არის წარსულის, მკვლევარია და მამა-პაპის ანდერძს დღესაც კიდევ გამოსადეგ საფუძვლად უდებს მომავალს, რომ კავშირ-გაუწყვეტლად განაგრძონ ისტორიული ცხოვრება. მათ მოქმედებაში კაჰკაჰურ-მაიმუნური მიმბაძაობა-კი არ უნდა სჩნდეს, მოფიქრებული, აწონ-გაზომილი თავისთაობითი შრომა უნდა იხატებოდეს. ხშირად ერთგან ის არის ხოლმე სასარგებლო, რაც მეორეგან მავნებელია. დროსა და ადგილს

---

*) რომელსაც იფქლისაგან უნდა გაეყო ღვარძლი და გორველა და გაეცალცაკევებია თიკანი და ცხვარი.

ნისა, და საზოგადოებაც ძალიან ბევრი დაესწრო. საკვირველია, რომ „არისტოკრატიაც“ ბევრი დაესწრო ამ მცირეფასიან წარმოდგენას. უადგილობის გამო ბევრი უკან დაბრუნდა.

აქვე უნდა მოვიხსენიოთ ის საგმირო საქმე, რომელიც ჩაიდინა ვიღაც აქაურმა ვაჟბატონმა: წარმოდგენის წინადამეს შეიპარა ეს გმირი ქაპანწყვეტით გაკეთებულ თეატრში დი სულ ერთიანად მოაოხრა იქაურობა.

მხიარულიძე.

„ივერიის“ ფოსტა

ქუთაისი. სტ. ფ—მს. წვრილი წერილები, რომელიც რედაქციისათვის გამოუსადეგარია, არ ინახება რედაქციის მიერ.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

27 აგვისტო.

პეტერბურგი. დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოოზის ძემ ღამე მშვიდად გაატარა. სიწვილა არ ვრცელდება და არ აწუხებს უავგუსტოესს ავადმყოფს. თვითგრძნობიერება წესიერი აქვს.

ლონდონი. როგორც პეკინიდამ იუწყებიან რუსეთის ელჩმა შეატყობინა ჩინეთის გარეშე საქმეთა მინისტრს, რომ ნიუ-ჩუანს და პროვინცია მუგდენს 8 ოკდომბერს დასცლიან და გამოსთქვა თანხმობა, რომ მუგდენში უცხოელთა ვაჭრობა გაიმართოს.—ტოკიოდამ იტყობინებიან, რომ კორეას მთავრობა ცდილობს პენიანგში გააუქმოს უცხოელთა ვაჭრობა, უკეთუ ვიჩჟოუში ლაიწყობენ, რასაც იაპონია ეწინააღმდეგება. ის იაპონელთა აფიცრები, რომლებიც, იაპონიის სათევზაო გემების დაჭერის დროს კამჩატკასთან, შეიპყრეს, გაანთავისუფლეს, რადგან საქმეში ჩაერია ადმირალი ალექსეევი.

ორიოლი. თავად-აზნაურთა საკრებულოში ტურგენევის სახსოვრად გამართეს სამუსიკო სადამო, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სავინამ და იუჟინმა.

სოფია. გზათა მინისტრი თავადი ხილკოვი მოვიდა.

ორიოლი. მიწად-მოქმედების მინისტრი წავიდა მოსკოვში.

ვაშინგტონი. ადმირალი კოტტენი იუწყება, რომ ბეირუტში სისხლის-ღვრის მიზეზი იყო ისა, რომ მუსულმანები მტრობით უყურებენ ქრისტიანებსა. ბეირუტში 7 ქრისტიანი მოჰკლეს.

ლისაბონი. ინგლისის მეფემ პორტუგალიის მეფე დანიშნა ინგლისის ფლოტის ადმირალად.

სოფია. არჩევნები 12 ოკდომბერს არის დანიშნული. მინისტრები დაბრუნდნენ სოფიაში. კვლავ დაიწყო შეცვლა მოხელეთა.—ოსმალეთის მთავრობამ უცხოელთა კორრესპონდენტებს აღუკრძალა მაკედონიაში მისვლა.

ქაირი. ცუდი ამბები მოდის სირიიდამ, ამბობენ დრუზები იარაღს ისხმენო; ეშინიათ ლივანაში ხალხის ამოწყვეტისა.

ბუდაპეშტი. იმპერატორი ვენაში წაბრძანდა.

სტამბოლი. ობუანო წავიდა. ბრძანება უნიფიკაციის შესახებ არ გამოსულა. ეს საკითხი მინისტრთა საბჭოს გარდაეცა, მაგრამ უიმედოდ მიაჩნიათ მისი გათავება.

სტამბოლი. სოფიიდამ იუწყებიან, რომ ადგილობრივმა მაკედონელმა დელეგაციამ გადასცა უცხოელთა წარმომადგენლებს წერილი-მოწოდება მშვიდობიანი ხალხის ბარბაროსულ მოპყრობისა და სოფლების დაქცევისათვის ოსმალოს ჯარებისაგან.—პორტამ ჩააბარა რუსეთის და ავსტრია-უნგრეთის საელჩოებს მემორანდუმი მეამბოხე ჯუფთთა შესახებ. დასამშვიდებლად შემდეგი ღონისძიებანია მიღებული: ოფიციალური ცნობები ყველგან გამოქვეყნდნენ; ოსმალეთის და ბერძნების ნოტაბლები და კომისიები თავისუფლად ივლიან, რომ დააბრუნონ სოფლებში მთებში გახიზნული ხალხი: კრუშევასა და სხვა ადგილებში გაიგზავნა კომისიები, რომ დაუბრუნონ ქონება, რომელიც წაართვეს ჯარებმა და ბაში-ბუზუყებმა; კრუშევაში მოაგროვეს 5000 სული წართმეული პირუტყვი. გაძარცვულ სოფლელებს მიეცათ პური, ფართალი და ტანთსაცმელი.

28 აგვისტო.

პეტერბურგი. „მართებ. მოამბეში“ გადმობეჭდილია „სავკ. უწყებიდგან“ ცნობა, რომ ჩრდილო ამერიკაში გამოჩენილა ცრუ ეპისკოპოზი, რომელიც თავის თავს მიტროპოლიტ სერაფიმეს უწოდებს და ნამდვილად კი მღვდელი სტეფანე უსტვოლსკია. თვით უსტვოლსკი და მისი ნაკურთხები უარყოფილნი არიან როგორც რუსეთის ეკლესიისა და მართებლობისაგან, ისე აღმოსავლეთის პატრიარქისაგან და ცრუ მატყუარა მღვდელმსახურად აღიარებია. ამისათვის მართლმადიდებელთაგან არავინ არ უნდა გაუგზავნოს არავითარი შეწირულება.

სტამბოლი. ხონთქარს აცნობა რუსეთის ელჩმა, 500 ლირი გავუგზავნე კრუშევოში ბაშიბუზუკებისაგან დახოცილთა სახლობას. რუმინიის მეფემ შესწირა 10,000 ფრანკი.

ს. მიხელ. დაარსდა პირველი რუსული სახალხო სკოლა ს.-მიხელში.

რიგა. შარშან დაძირული გემი „გენერალი ტოტლებენი“ ამოიღეს ზღვის კიდედგან და ნავთსადგურში მოაცურეს. აქედგან მრავალი ცხენი გაჰყავთ ინგლისში.

სტამბოლი. ბრძანება გამოვიდა გაუშინჯონ ყველას სახლები; ეს ვაშინჯვა უნდა მოხდეს სხვა-და-სხვა სარწმუნოებათა ნოტაბლების თანადასწრებითა ადრიანოპოლისა და მონასტირის ვილაიეტებში სახლების გაშინჯვას არავითარიმე შედეგი არ მოჰყვა.—პორტას ცნობაში სახელმწიფოთა დიპლომატიურ წარმომადგენლებთან, რომელთაც კონსულები ჰყავთ მონასტერში, ნათქვამია, რომ ყარაულებს მივწერეთ სამხედრო პატივისცემ ხოლმე კონსულებსა; პოლიციელები შეხვედრის დროს უნდა შესდგნენ პატივსაცემლად. თუ ამ ბრძანებას არ შეასრულებენ კონსულება უნდა მოახსენონ თვის მთავრობას. კონსულთა მოხსენება მაკედონიის ვილაიეტებიდან და ადრიანოპოლიდამ ამტკიცებენ, რომ სასტიკის ზომების მიღებისა გამო ამ უკანასკნელ დროს ბევრგან შეაყენეს მოძრაობა. ბეირუტში მომხდარ შეტაკების გამო პორტა ამბობს: «რამდენიმე უცნობი კაცი დაეცა ოთხს მუსულმანს სრულიად უმიზეზოდ; გაჩნდა ჩხუბი. ჯარები ჩაერივნენ საქმეში და ჩხუბი შეაჩერეს. ჯარისკაცთაგან ერთია მოკლული და სამი დაჭრილი, ხალხთაგან-კი თითოა მოკლული და დაჭრილი. ინგლისის კონსულს ვითომ ეთქვას, რომ ქრისტიანები იყვნენ მოთავენი ამ საქმისაო.

სტამბოლი. კონსულების ახალის ცნობებიდამ სჩანს, რომ ბეირუთში ქრისტიანთა ხოცვა ჯერ არ შეწყვეტილა. დიდი არევ-დარევა სუფევს; ვაჭრობა შეწყდა; ოსალები გაიქცნენ. — საკონსულო კორპუსის წევრთ გადასწყვიტეს, რომ დაუყოვნებლივ წაიყვანონ ვალი და სთხოვონ ამერიკის ადმირალს დაიცვას უცხოელთა კონსულები, თუ საჭიროება მოითხოვს. 500 კაცი მაამზადა; ელიან სხვა სამხედრო გემებსაც; დამშვიდება თვით ოსმალთათვის ძალიან საჭიროა, რათა უწესოება არ მოედოს იმ ადგილებსაც, სადაც ნიშნებია აღელვებისა.

ბუდაპეშტი. აღლუმის შემდეგ გალიციაში იმპერატორი ბუდაპეშტს წავა და 16 სეკტემბრამდე დარჩება.

ლონდონი. ვიკონტ კარბონერმა მიიღო წოდება ვიკონტ სოლსბერისა.

ბელგრადი. წინააღმდეგ გაზეთებისა „ნაროდნი ლისტი“ და „ვეჩერნი ნოვოსტი“ მანიფესტაცია გაიმართა, რომელშიაც ერია 1000 კაცამდე. ხალხმა ფანჯრები ჩაუმტვრია. თანამშრომლებმა სროლა დაუწყეს და რავდენიმე კაცი დასჭრეს. ჟანდარმებმა ხალხი გააბნიეს.

შერჩევა უნდა. მთაში რომ დარია ხოლმე საჭირო, იმავე დროს ბარში ბევრჯელ ავდარს ნატრობენ. გადმოთესვასა და გადმომყნას ნიადაგის შესწავლა უნდა: ნაყოფი რომ ერთგან ადრე მწიფდება, მეორეგან გვიან დათესვისა დ მომკის დროცსულ სხვა-და-სხვაა. ვისაც ეს არა აქვს შეგნებული, მისი მუშაობა ნაყოფს ვერ მოიტანს, დაკარგულია, დახშირად, როგორც უგნურების ნაყოფი, მავნებელიც. ავიღოთ ორი დედა: პირველის შვილი კარკად გაზდილია, მწვადის ჭამაც შეუძლიან და მონელებაც. მეორესი კი უსუსურა, ჯერ უკბილოა, რძის მეტი არა შეერგება რა. მეორემაც რომ იმ პირველ დედას მიჰბაძოს და, აქაო და მწვადი უმჯობესია რძეზეო, უკბილო შვილს პირში მწვადის ნათლები ჩასჩაროს, ხომ მოჰკლავს? ხალხიც ასეა. ისიც თანდათან იზრდება და ყოველ ხანში თავ-თავის შესაფერი საზრდო უნდა. განა შეუძლია ბულგარეთს, რომ ოსმალეთს ამოუდგეს გვერდში და მასთან ერთად მისის პროგრამით იხელმძღვანელოს ცხოვრებაში? რატომ არაო, იტყვიან ქირვეულები, თუ კი ორივე ერთად აღიარებენ მარქსის მოძღვრებას და ეკონომიურ მატერიალიზმს ხელს ჩაჰკიდებენო!.. და მიტომაც უნდა ამ თავითვე ვეცადოთ, რომ აქაც და იქაც მარქსელები გავამრავლოთ და მანამდი სხვაზე ნუღარაზე ვიფიქრებთო. კეთილი და პატიოსანი! მაგრამ მანამდი ხომ ჩაიყლაპა ბულგარეთი? და ვინ არის რომ თავს იკლავს უდროვოდ, რაღაც მხოლოდ სხვის სასარგებლო თეორიისთვის, თუ არ შემცდარი?..

„ვისაცა ესხნენ ყურნი სმენად, ისმინონ“.

მწირი მესამოცეთაგანი.

პეტერბურგის ბირჟა აგვისტოს 26

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,65
ბერლინში 100 მარკაში	45,92½
პარიჟში 100 ფრანკში	37,52½
ლონდონში ჩეკები	94,40
ბერლინში ,, ...	46,30
პარიჟში ,, ...	37,27½
ბირჟის დისკონტი.	5—6½%
4% სახელმწიფო რენტა . . .	99½ გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	95¼ მყიდ.
5% პირ. შინაგ მომგებ. ბილ. 1864	443¾ წ.
% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. . .	335 წვ. გაყიდ
5% გირავნ. ფურც. სასახლმ. საადგ.-მამ. ბანკისა. . .	288½ გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც იმავე საზოგადოებისა.	—
4% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
5% გირავნობ ფურც. იმავე ბანკისა	
6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაიები ძმ. ნობელთა სანავთო მრეწვ.	—
აქციები. „ „ „ »	—
„კასპიის ამხანაგობისა.	—
„ ბაქო, ნავთის საზოგად.	—
„ ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	187½ წვ. გაყ.

გამოსადეგი ცნობები.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა.

18 აპრილიდგან.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს: 1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 10 ს. 37 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 6 ს. 18 წ. 3) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. 49 წ.

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო საშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 4 ს. 24 წ. 2) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 49 წ.; 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 32 წ.

ყარსსა და ერევანს: 1) საფოსტო № 74_{75} ღამის 12 ს. 30 წ.; 2) სამგზავრო № $90/_{91}$ შუადღის 12 ს. 38 წ.

ბორჯომს: 1) სამგზავრო № $7/_{8}$ ნაშუადღევის 2 ს. 58 წ.; 2) სამგზავრო № $9/_{10}$ დილის 9 ს. 21 წ.

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № ღამის 11 ს. 22 წ., ჩამოდის ტფილისს დილით 9 ს. 42 წ. 2) საფოსტო № 4 საღამოს 10 ს. 21 წ., ჩამოდის ტფილისს დილის 11 ს. 8 წ., 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს. 37 წ. ჩამოდის ტფილისს საღამოს 11 ს. 1 წ.

გ. ბაქოდგან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე, პარასკევობით, მოსკოვიდან მომავალი) დილის 4 ს. 40 წ. ტფილისს მოდის ნაშუადღევის 5 ს. 51 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 10 ს. 16 წ. ტფილისს მოდის ნაშუადღევის 5 ს. 23 წ. 3) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 1 ს. ტფილისს მოდის დილის 5 ს. 5 წ.

დ) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: ღამის 1 ს. 58 წ.; და დღის 2 ს, 23 წ.

ბათუმისაკენ; ღამის 1 ს. 58 წ.; დღის 8 ს. 23 წ.; დღის 4 ს. 48 წ.

შორაპნისაკენ; დღის 3 ს. 8 წ.

განცხადებანი

ქ უ თ ა ი ს შ ი

ს. მ. ბ. თოფურიას

სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ყველა

ადვილად და პატიოსნურად იშოვოს თვეში 400 მანეთს. არც დიდი ცოდნაა საჭირო და არც ხარჯი, მხოლოდ ჩქარა გამოგზავნეთ თქვენი ადრესი! U. 111, an das Aunoncen-Bureau des Merkur in Mannheim, Meerfeldstrasse, 44.

(50—6)

ერიდეთ! არ მოსტყუვდეთ!

ჰიგიენური

ბორნო-ტიმოლის საპონი

პროვიზორის

გ. ფ. იურგენსისა.

აქრობს ჭორფლს, ნასიცხ—ყვითელ ლაქებს და სპობს ოფლს. ვურჩევთ ყველა, როგორც კეთილ-სუნნელოვანი და მაღალის ხარისხისა, ეს საპონი იხმარონ.

ოქროს მედალი, ლონდონი 1893 წ.

ფასი თითო ნაჭერისა 50 კ., ნახევარ ნაჭერი 30 კაპ.

იყიდება რუსეთის ყველა საუკეთესო საფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში.

უმთავრესი საწყობი გ. ფ. იურგენსთან **მოსკოვში.** (40—6—18)

წინამძღვარიანთ-კარის სასოფლო მეურნეობის სკოლაში

მიღებული იქნება ჯანმრთელი ყმაწვილები, არა ნაკლებ ათის წლისა, ყველა წოდებისა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა ამა 1903 წ. 1-ლ სექტემბერს.

ვისაც სურვილი აქვს, სკოლაში ყმაწვილი მიაბაროს, იმან უნდა პირად ანუ წერილით განუცხადოს თავისი სურვილი სკოლის ზედამხედველს სვიმონ ხუნდაძეს სოფ. წინამძღვარიანთ-კარში, წარმოადგინოს ყმაწვილის წლოვანების მოწმობა, სინოდის კანტორიდან მიღებული, ან მღვდლისაგან მიცემული აღმოწერილობა წლოვანების წიგნიდან და იმ სკოლის მოწმობა, სადაც ბავშვს უწინ უსწავლია. გამოცდა ყმაწვილებისა მოსამზადებელ კლასის პირველს განყოფილებაში არ იქნება, მხოლოდ ვინც მოსამზადებელ კლასის დანარჩენს განყოფილებაში შესვლას მოინდომებს, იმას უნდა ჰქონდეს შესაფერი მომზადება და სწავლა.

სკოლაში ყმაწვილები უსასყიდლოდ მიიღებენ სწავლას და ყველა სასწავლო ნივთებს, მხოლოდ დედ-მამამ, ანუ იმათმა მოადგილემ, უნდა ყმაწვილს სოფელში ბინა უშოვოს, ჩააცვას და დახუროს.

შორ მხრიდგან მოყვანილ ყმაწვილებისათვის სოფ. წინამძღვარიანთ-კარში გამართულია სკოლის ხარჯით 30 შეგირდისათვის სადგური. ყველა საქმეს ამ სადგურისას თვით სკოლის პედაგოგიური კრება განაგებს. თითო შეგირდის შესანახად დანიშნულია შვიდი მანათი თვეში.

ვისაც ჰსურს, მიაბაროს ყმაწვილი სკოლის სადგურში, იმან უნდა წარმოადგინოს: წლის შესანახი ფული 84 მანათი პირველს სექტემბერს. ვინც ამ ვადაზე ფულს არ შემოიტანს, მაშინ შეგირდი დათხოვნილი იქნება სადგურიდგან.

ყმაწვილს უნდა ჰქონდეს კრაოტი, ქვეშსაგები, ექვსი ხელი საცვალი და სამი ხელი სკოლისათვის დაწესებული ტანთ-საცმელი: ერთი საზამთრო და ორი საზაფხულო. უკეთუ ყმაწვილი სადგურიდამ წელიწადზე ადრე გავა, იმას შემოტანილი ფული უკან არ დაუბრუნდება და დარჩება სადგურის სასარგებლოდ.

ფული და ყოველგვარი წერილები გამოიგზავნება შემდეგის ადრესით: Станція Мцхеть, смотрителю Цинамзгваріантъ-карской сельско-хозяйственной школы.

2—უ—2

ДЕНИСОВСКІЙ

მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი

„ოდობრინი“ მ. გ. ლებედევისა

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენსამე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცს ძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში—საფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და მის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.

(33—6—17)

ბუხგალტერი-სპეციალისტი

ამზადებს მსურველთ როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად

ორმაგ იტალიურ და მარტივ ბუხჰალტერიასა, საზოგადო სავაჭროსა და ბანკისასა, კომერციულ არითმეტიკისა, ფინანსიურ გამოანგარიშებისა, არითმეტიკას საანგარიშო ჩოთქით, კომერციულ კორესპონდენციას, ვაჭრობის ისტორიასა, ვაჭრობის უფლებასა და ვექსილის კანონებს.

სწავლის გათავების შემდეგ ატტესტატი მიეცემათ. ფასი მორიგებით. სწავლა დაიწყება ენკენისთვის 5-ს 1903 წ.

ადრესი: ტფილისი. **ალ. გ. საათაშვილს** ახალციხის შესახვევი, სახლი № 17, მე-9 ნაწილში. პირადად მოსალაპარაკებლად 3-დან 8 საათამდის.

ვამზადებ ბუხგალტერიის საგნებში აგრეთვე იმათ, რომელთაც საღამოს 9-დან 10 საათამდის შეეძლებათ სწავლა. ფასი მათთვის შეღავათიანია. სწავლა ოთხ თვეს გასტანს. სწავლის გათავების შემდეგ მოწმობა მიეცემათ.

(3—190—2) ალ. გ. საათაშვილი.

საბუჰალტერო კლასები

ი. ი. ბრონ-ფონ-ბრენერისა

მიხეილის პროსპექტი № 161.

სწავლა დაიწყება 10 სექტემბერს და ნახევარს წელიწადს გასტანს. მასწავლებელთა კრებული საუკეთესო სპეციალისტებისაგან შესდგება. კლასებთან სავაჭრო მუზეუმი, ბიბლიოთეკა და ბიურო არის. პროგრამა ს.-პეტერბურგის კურსებისა. საგანგებო ლექციები იქნება სავაჭრო საქონლის მეტყველებისა, კომერციულ ეკონომიისა, საგანგებო ანგარიშებისა: ბანკისა, რკინის გზისა, სახელმწიფო ხაზინისა, სახაზინო სასმელთა ვაჭრობისა, ფაბრიკისა და სხვ. თხოვნები მიიღება 10 სექტემბრამდე კლასების კანცელარიაში, მიხეილის პროსპექტზე, № 161, დილის 9 საათიდან 1-მდე და საღამოს 5 საათიდან 8-მდე დამაარსებელი კლასებისა ი. ბრონ-ფონ-ბრენერი. (15—9)

Дозволено цензурою, Тифлисъ, 28 августа 1903 г. Типографія Е. И. Хеладзе Русскій базаръ, домъ армяно-григ. семинаріи დროებით-რედაქტორი ბ. [illegible], გამომცემელი ა. სარაჯიშვილი.